

572 / 2

ଲୋକ

ବାହ୍ୟାରୁ ପ୍ରଦାନ କରିଛି,  
ଅଧିକାରୀ କରିଲୁଣ୍ଡର ମନ୍ତ୍ରୀ,  
ଏ ଶରୀର ମନ୍ଦିରୀ, ମର୍ମଜୀବ  
ବିଭିନ୍ନଙ୍କ ଗୁଣବିଦ୍ୟାରେ



ଭାରତୀୟ ସାମାଜିକ  
ଓ ପ୍ରସାଦ ପରିଷଦ



ისეული ეპაზია

## ჩეენი საბჭოთა არმია

არ გაიხარის მტრის გულმა,  
 არცა რა გაუსარწია;  
 მშეიღობის დროშას დარაჯობის  
 ჩეენი საბჭოთა არმია.  
 მარჯვედ უცურია მასკიდი,  
 მარჯვედაც მოუხმარწია;  
 საბჭოთა ქვეუნის ლაშქარი —  
 ჩეენი ძლიერი არმია.  
 მამულს უდგანან ტმირები,  
 მხრებზე მიუდევთ მხარია;  
 მომე ერების სიმტკიცე —  
 ჩეენი საბჭოთა არმია.  
 მტერთაგან ჩეენი საზღვრები  
 მას მეტრდით დაუფარწია;  
 სიმაგრე, გაუტბეჭდი —  
 ჩეენი საბჭოთა არმია.  
 არ გაიხარის მტრის გულმა,  
 არცა რა გაუსარწია;  
 მშეიღობის დროშას დარაჯობის  
 დიდი სრალინის არმია.



ՊՈԽԵՔ ՑԵՍԱՐՈՂՆԻՍ-ԺԵ ՍՏՐԱԾՈՆՈ

აღმო მისდებავა (მაგავილი)

## ჩ ვ ე ნ ი ხ ა მ შ თ ბ დ ლ ი

ჩვენი ქვეყნის გასაღარი  
 სხვა ქვეყანა ანსაგ არი,—  
 მშის ქვეშ ბრძინიანეს კიდით-კიდე,  
 გაზიფუტების გასაღარი!

გამარტვების შექმ მოსავთ  
 შრომის გმირებს და ვაჭაცებს,—  
 ჩვენს ბერძნერ და სამხოდოს  
 სტარინის მზე გაჭაშვაშებს!

მტერი ვეღარ გაღმობასაც  
 ჩვენს ქვეყანას, ამ ჩვენს მიწას,  
 თექვსმეტი ძმა,— გმირი ხაღები  
 მშეგობას და შრომას იცავს!

არა! სხვაზე მე არ გავცედი  
 ჩვენს შორისოურ მოსა და მეღოს,—  
 გიდ საბჭოთა ძმერ ოკაზში  
 ბრძინიანეს ჩვენს საქართველოც!

იმსახ ლოვავილი

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თებერვალი მოვიდა—  
 ზამთარის სუსტი ალგავოს.  
 თებერვალი დაგდაო,  
 ხეში წყალი ჩადგაო.

შეიძმუშენ ხები  
 ჟარად ჩამომეტგარები.  
 ტყეში იამ, ენდელამ  
 გაახილეს თვალები.

ყური ჰყარა ბადახმა,  
 მწერედ გაიშრიაა.  
 მშე მომძალება, ურჩება  
 შიწას ზამთრის იარა.

ზამთრის თეთრი ნაბადი  
 ნაჯდეთებათ ჭიდა.  
 შუქი სჭანბობს სიბრნელეს,  
 ღლე ღამეტე ღიღია.

გაზიფუტები მოვიდა —  
 ზამთრის სუსტი ალგავოს.  
 თებერვალი დაგდაო,  
 ხეში წყალი ჩადგაო.

მაგრამ, იცით, ჩად გვიყვარს  
 თებერვალი ძღიერა?  
 საქართველოს ცისაკარა  
 თებერვალში იედა.

ოცუათერთმეტ თებერვალს  
 ითევდი ჩვენი ქვეყანა,  
 ვარი გადაშაა,  
 საღაც ქვები ეყარა.

ღამე ღაღნა, ღაიწვა,  
 ღაღა ღაღა კრალა,  
 საღაც ღიღი სტარინის  
 ღრმოშამ გაიშრიალა.

ტრაქტორების გუგუნი  
 კიდეთ-კიდე გაისმის.  
 გაზაფუტება, გაღიღდა  
 გუღში შრომის ხაღისიც.

მოესცედებიც ქართულენ  
 ვეღებს, შევად გადანეცს.  
 შითხარ ჩა შეცერება  
 საქართველოს გაზიფუტებს?



მიორიგ გაზერავილი

## ატმის კურკის ამბავი\*

ნახატები გრ. ჩირინშვილის

54/3

გვის ამბავი სოფელშიც გაიგეს.

მაღლ დიდებას წერილიც მოვიდა. კეთილი დიდება შეკლიშეილს ამედებდა: გულს ნუ გაიტეხ, მაღლ შემოდგომის ატმის გაეჩირავ და შენს გოდორს უკეთესი კურკი ავაგებდე.

ერთხელ, დიდი დასვენების დროს, სკოლის ეზოში მიმავალ გვის საოცარი სტენა შემოესმა. მან თვალი მოკერა მოსწავლების ჯგუფში ჩამდგარ ლადოს, რომელიც ტუქჩებგამობურცული უსტვენდა.

— სად იშვევ მილიციილის სასტევნი? — შემოესმა გვის.

— არა, ეს ატმის კურკის სასტევნია. აი, ნახე, მე თითონ გავაკეთე! — თავ-მომწონეთ წამოიძახა ლადომ, სასტევნი მაღლა ასწია და ყველას დააახავა.

— გამიკეთე, მეც გამიკეთე! — ეხვეწი-ბოლნენ ბიკები.

— კარგით, არავის უთხრათ და თუ თითო კოქს მომიტანთ, ყველას სათითოა სასტევნის გაგიკეთებთ!

ლადომ სასტევნი ისევ პირში ჩაიდო, მაგრამ უცებ მათეკნ მიმავალ რაშის

\* დასასრული. იხ. „დილა“ № 1, 1952 წ.

ხელმძღვანელს მოჰკრა თვალი და საჩ-ქარიდ ჯიბეში დამალა.

„საიდან უნდა ჰქონდეს ამდენი ატმის კურკა ლადოს?“ — გაიფიქრა გვიმ. ხელმძღვანელი ბაქუშებს ხმამაღლა მიესალმა. ბიქებმა უკან დაიხიეს, შეკრთხნენ.

— ბავშვებო, — მიმართა ხელმძღვანელ-მა მათ, — ხელ დილით ცველამ ჩემთან შემოიარეთ, საქმე მაქვს

ბავშვები ხმამაღლებლად დაიშალნენ. ხელმძღვანელი გვის მიუახლოვდა.

— გვი, გაიგონე?

— დია!

— ახლა, როგორ ფიქრობ, ის თინი ვინ მოგიწყო?

გვი ჩაფიქრდა.

— ეჭვი მეც შემებარა, მაგრამ უსაბუროდ ხომ არ დავაბრალებ?

ხელმძღვანელს გაეცინა.

— საბუთი უცვე გვაქვს... იმას რა ჯამბს, როცა საბუთი უსტევნს!

გვი კლასისაკენ მირბოდა და ფიქრობდა: „საბუთი უსტევნს, რა კარგია, ვნახოთ, რა მოხდება“.

卷之三

საღამო იყო. გვივი მოხარუბა ყურებელთა თეატრიდან შეინ მარტო ბრუნდებოდა. თეატრში გვივი და ლალო ერთად წავიდნენ, მაგრამ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ვებაპ შეხვდნენ. თეატრის გამოსასვლელთან რამდენიმე წუთს მოიცავდა გვივიმ, იქნებდ ლალო ჯერ არ გამოსულოა... მაგრამ.



აი, თეატრიც დაუალიერდა. ბავშვები ქუჩის გადასასვლელზე ფრთხილად გადალიოდნენ და შინისაკენ მიეშურებოდნენ. შორისახლოს ყურთასმენის წამლები, ნაცნობი სტევნა და ბიქების ყიჯინი გაისმა. ჩქარი სვლით მომავალი ტროლეიბუსი შეჩერდა. შეჩერდნენ მის უკან მსუბუქი მანქანებიც.

იქ, სადაც სტევნა გაისმა, ხალხი შეერთოდა; გვიმზ საქართველო მიირბინა, მაგრამ მის წინ ხალხის კედელი იყო აღმართული. კედელა წინ წაწევას და მომხდარი ამბის გაგებას კლილობდა.

— უცემ გივის ნაცრობი ხმა შემოწევა: მიუკარისტოს  
— აღარ ვიზამ, ძია, აღარ ვიზამ, გა-  
მიშვი!

გივიმ ძალა მოიკრიბა, ხალხი გააპოდა წინარეგებში გაძერა; მილიციელს ლადოსათვის მაჯაში ხელი ჩაეკლო.

— გამიშვი, ძია, გამიშვი! — ეველრებო-  
და ცრემლმორეული ლადო მილიციელს.

— რად უნდა გაგიშვა, შენ ხმო ქუ-  
საში სტევანა ატეხე და ტროლებული  
გააჩირე. იყი, თუ არა, რომ ამით წეს-  
რიგი დაარღვევი?

გივი გაჩერებულ ტროლეიბუსს შეხედა. ლადო იცრემლებოდა და მიღიციელს პატივებას სთხოვდა.

— სად იყავი, საიდან მოდიხარ? — შეე-  
კითხა მილიციელი.

— მოზარდმაყურებელთა თეატრში  
ციფავი...

— მერე, მარტო რატომ მოდიხარ?

— ჰატუკეცუმულო მილიციელო, გოთხვეთ მომისმინოთ! — წერალა გამე-  
დული ხმით მიმართა მან მილიციელს და  
ძრედი მოახადა.

მილიციელი გვისაკენ მიბრუნდა.  
მის წინ პატარა, მაგრამ ამაყი შეხედუ-  
ლების ბიჭი იდგა.

— გოვი, გოვი, მიშველე! — გულამის-  
კუნით წამიიძახა ამხანაგის დანახვაზე  
ლადომ და მისკენ გაიწია.

— გისმენთ! აბა, რას გვეტყვით! — წარ-  
მოსთქვა მილიციელმა.

— ეს ბიტი ჩემი ამხანაგია, ერთად ვსწავლობთ, თავატრში ერთად ვიყავით, მე დაეპარტიეთ. აი, ბილეთებიც... გთხოვთ ახატიოთ დანაშაული!

— არა, ყმაწველო, ასეთი სასტუენით ჩვენ წესრიგს ვიცავთ, თქვენმა ამხანაგმა კი დარღვია; დამნაშავე უნდა დაისაჯოს!

— კარგით, — წამოიძახა უცებ გივიმ — რადგან დანაშაული პირველია, ნება მოვყეცით, ჩვენევ დავსაჯოთ ჩვენი ამხანაგი!

— ვინ თქვენ? — ღიმილით შეეყითხა მილიკიელი.

— ეს იქნები ჩემი როგორის წევრია. პირობას გაძლევთ, რომ როგორის სასწრაფო შეკრებაზე დაყაყნებს მის საკითხს და გვერდავთ!

მილიკიელს მოეწონა გამბედავი, სანდო ბიჭუნა, მისი გულრწყელი ლაპარაკი.

— კარგი, — დაეთანხმა ბოლოს მილიკიელი, — მოთხარით თქვენი გვარები, სკოლის მისამართი; იმ შემთხვევაში, თუ ამ ყმაწველს სასჯელს არ გამოუტან, თქვენ იქნებით პასუხისმგებელი!

გივი და ლადო აღლვებულები დაბრუნდენ შინ და დასაძინებლად მაშინევ დაწერნენ. გივის მალე ჩაეძინა, ლადო კი ვერ ისვენებდა, ტოვინში ტრაილებდა. მერე გივის აივნებ ავიდა, შძინრე შეგობარს ფრთხილად გაუტარ, აივნის ბოძიდან დიდებდა დარეჯანისეული ჭრელი ხურჯინი ჩამოსხინა, დაკიცა, იღლიაში ამოიდო, ერთხელ კიდევ გადახედა თავის მხსნელს და სარდაფის ბნელ კიბეზე ფრთხილად ჩაირბინა.

\* \* \*

მზემ სხივი სტუკორუნა გივის აივანს. გივი შეიშმუშნა, თვალი გააბილა. აივნის ბოძებ დაკიდებულ სავსე ხურჯინს მოპკრა თვალი.

„ბიქუს, ამ ხურჯინს აქ რა უნდა?“.

წამოიძახა მან, წამოხტა და ხურჯინი ხელით მოსინჯა.

„მგონ ატმის კურქაა, მაგრამ საიდან?.. იქნებ დიდებდამ გამოგზავნა?“.

ხურჯინში მართლაც ატმის კურქა აღმოჩნდა. მაშინვე იცნო გივიმ თავისი

სუფთად გარეცხილი, გაკრიალებული კურქები.

გაოცებული გივი ოთახში შესვლას აპირებდა, რომ მეორე აივანზე დარტყებული ლადო დაინახა.

— ლადო, ხედავ? — გაძახა გივიმ, — ვილაცას ჩემი ატმის კურქა უკან მოუტანია!

— ვიცი, — ხმადაბლა, დარტყენით უპასუხა ლადომ — ვიცი კი არა, სულ ჩემი რინგი იყო და მაპატიე!..



გივის ბრაზი მოაწვა ყულში. გაახსენდა სკოლაში მომხდარი ამბავი... აგურის ნატეხებით ავსილი ხურჯინი. მერე შეუბლი გაუსხინა, გაიღონა და ბრძანებით შესაბა:

— აბა, აიკიდე ხურჯინი! ლადომ ჩამოსხინა აივნის ბოძიდან ხურჯინი, მანაზე მოიგდო და მოზრიელად შეეყითხა:

— მერე?

— მერე ის, რომ ახლავე შენი ზურგით წამოიღე სკოლაში; არც ჰელ დანაშაულს გააპატიებ და არც ახალს, დოკუმენტებ რგოლის შეკრებას მოვიწვევ. ანა, ნაბიჯით იარ!



ზეპარის შესახულის გვერდი

ნახატები გ. ბეჭდელი ცაახახახახა

## ცაახ დეაძეო მდნობელები

ტაადახით და აგურებით  
ავაშენეთ ქუჩა,  
ორნამ შება შეუკუთა, —  
ხედათ გაახურა.

კადა, ტყვია, ძველი ტაფა  
მოიტანა ანგრიო,  
გავამშავეთ, ცეცხლებ დაუღიო,  
გუამოღგნეთ ვაღნომთ.

სუდ სხვადასხვა ყაღიბები  
გაფაეტეთ წინათ,  
ახდა ერთად ჩამოვსახია  
ედვარებს ღამიცინავს.

ღიღები რომ გაუიზრებით,  
ვესტუმებით ქანჩხებს,  
მძინობელი უნდა გავეხეთ.  
მობრძანებით და გვნახეთ.

გინდა ფორაძა გამოვაღნობთ.  
გინდა სხვაგვან დითონს.  
და მანქანის ნანიღებსაც  
ჩამოვასხამთ თვითონ.



## ზაღაროელი

ისე ყოჩალი ბიჭი უარ  
რომ ყველაუჩიში ვიღებებ,  
თუ არა გვერათ, მიყენირეთ.  
როგორ ვაშენებ გვირაბებს.

შინა რომ არსად ჩამოწვეს,  
სუდ გავასგრე ბოძებოთ,  
მშავარე მტეიცე გვირაბები  
ჰყავოთ, ვერსად მოძებინო.

შიგ ღიანხაგიც მოვაწვევ,  
ედეტროგაყვანდონას,  
შალარო უკვე შიად არის,  
აკლა მოძის და მიღიცაუ.

სუდ მაღე ღიღი გავეხები,  
გავიყუან ისეთ მაღარის,  
რომ მოედ ქვეყანას დახარო,  
თვით ძია სტაღინს ვახარი!

## ავტომობილი

ააძარ ავტო მომიტანა  
აანუკობი დასმენებ,  
გავამართო და ჩემი ავტო  
ისე ღამერის, როგორც შევდი.

— ცე და აეტოს ქუთაისურს,  
გვიფერს ბრინამ მეტისმეტი,  
სამორისისთვის ქვას და ცემენტს  
კრიფებით განუწყვეტილო.

შინ ძარაც ამიტომაც  
ღავანებენ „სამგორმებინ“,  
მოძიოთ, ნახეთ, მეგობრებო,  
ეს ნარჩერა როგორ შვენის.



სახლი ქლდიავილი

ნახატები ი. გაბაშვილის

## ყანჩა და კაკაბი

სოფლებს მოშორებულ ერთ უდაბურ ჭაბურინ ველზე ცხოვრობდა ყანჩა. ის დიდიხნიდან შეწევული იყო ამ აღგილს. გაზარდებულზე, ორუა თბილი ქვეუნიდან დაბრუნდებოდა, ყოველთვის აქ დაიბინავებდა. მთელი ეს თვალუწვდენი ველი მის სამულობელოს წარმოადგენდა. ყანჩასთვის რომ გეკითხათ, ამასე უფრო შემჯული და ღოვლათიანი კუთხე არსად მოიძენებოდა.

ველზე აქა-იქ გუბე იდგა, რომლებ-შიაც ბევრი ბაყაყი იყო და ყანჩას, აბა, მეტი რა უნდოდა! როგორც კი ბაყაყი, წყლიდან თავს ამოყოფდა, მაშინვე ჩა-ჰქირდა თავის გრძელ ნისკარტს, ამოა-თვეუდა და გადაპყლაპავდა.

მედამ მაძრატი და თავის ბედით ქმა-ყოფილი მთელი დღე იდგა ხოლმე გუ-ბის ნაპირზე, აიკეცვდა ერთ ფეხს და თვლემდა,

ხანდახან ყანჩასთან სტუმრად მოფ-რისტებოდა მისი ძველი მეგობარი კაკა-ბი. ყანჩა ბუნებით დღუმილის მოყვარუ-ლი იყო, მაგრამ მასთან საუბარს არ გა-უბოდა.

კაკაბი შესჩიოდა ხოლმე მეგობარს:

— ეს, რაც დრო გადის უფრო მი-ძელდება ცხოვრება, ახალგაზრდები იკით შორს ფრენა აღარ შემიძლია, ახლო-მახლო კი არაფრი მოიძენება.

— აბა, რას ბრძანებ! — უქმდულოდ თავს აქნევდა ყანჩა. — როგორ შეიძლება აქაურობას წუნი დაედვას, სად ნახვ ამა-ზე ბარაქი კუთხეს? ზაფხულის განმავ-ლობაში მე ერთი გუბეც მყოფის, შეგ იმდენ საკვებია; ხომ ხედავ, რა მშვენიე-რი გუბეა, ხომ გესმის რა სამოლდ ყიყი-ნებენ ბაყაყები.

— ფუ, ბაყაყი! რა უნდა იყოს მასზე საზარელი! — აირიზა კაკაბი. — აი, საკენი რომ იყოს ამ ველზე, მაშინ მეც შევაქებ აქაურობას.

ამის გავონებაზე ყანჩამ ჩიცინა:

— საკენი! ვერ გამიგია, რა გემოს ნახულობ რალაც მარტვაში?

მაალაპარაში გუბიდან ბაყაყმა ამო-იხედა. ყანჩამ მაშინვე ჩაჰქრა ნისკარტი, ამოათრია და შესთავაზა მეგობარს:

— აბა, გასინჯე რა გემო აქს, იქნებ მოგზაურობს!

— ამ, არა, არა! — პირი იბრუნა კაკაბ-მა, გაშალა ფრთები და გაშორდა.



ყანჩამ კი გადასანსლა ლუქმა და დამ-  
ცნავი ღიმილით თვალი გააყოლა გაფ-  
რენილ კაკაბს:

— ეს, უგუნური ხარ და რა ექნა! შენ  
რომ ამის გვეო იცოდე, რაღაც მარტ-  
ვალს ალარ ინატრებდი!

ასე ნებიერად და უდარდელად ცხოვ-  
რობდა ყანჩა გაზაფხულიდან შემოდგო-  
მამდღ.

\* \* \*

ზამთარი მოახლოებული იყო, როცა  
ყანჩა ისევ თბილ ქვეყანაში გაფრინდა.  
ენაგებოდა საყვარელი ველის დატოვება,  
მაგრამ რა ექნა: მალე აქ აცივდებოდა,  
სუსხანი ქარი დაიწყებდა ნაეარდს და  
მერე თოველით დაიფარებოდა მოელი  
მიღდამო.

წასელისას ყანჩამ ინახულა კაკაბი და  
მეგობრები დაეშვეიდონენ ერთმანეთს.


უეს უნდა გავერიდოთ, — თქვა პყანჩამისაც  
მენანება, რომ გშორდები, მაგრამ რას  
იხამ... მშვიდობით, იმედი მაქეს გაზაფ-  
ხულზე ისევ გნახავ!

მეგობრები ჩაღვლიანად დაშორდენ  
ერთმანეთს. ყანჩა გაფრინდა თბილ ქვეყ-  
ნისაცნ, საღაც ზამთარი არ იცის, ხოლო  
კაკაბი იქვე დარჩა.

\* \* \*

გავიდა დრო; გაზაფხულმა შეცვალა  
ზამთარი და მზემ ისევ გაათბო იქაურო-  
ბა. ყანჩა დაიძრა შორი ქვეყნიდან და  
თავის საყვარელ ველს მიაშურა.

დიღდანს იფრინა, მრავალი ზღვა და  
მთა გადაიარა, ბოლოს დაეშვა ძველად  
ნაჩვევ ადგილზე, მაგრამ სახტად დარჩა,  
თითქოს ის ადგილი იყო, მაგრამ იქაუ-  
რობა, ისე შეცვლილიყო, რომ ვეღარ  
ცნობდა:



— იქნებ შენც წამოხვიდე, — შეეპატი-  
კა ყანჩა. — გაზაფხულზე კი ერთად დავ-  
ბრუნდებით.

— არა, ეგ შეუძლებელია, — ამოინხ-  
რა კაკაბმა. — ჩვენი წესი არ არის სხვა  
ქვეყანაში გადატრენა.

— ჩვენი წესი კი ისეთია, რომ სიცი-

„იქნებ სხვაგან დაეფრინდი, იქნებ შე-  
ცლი?“ — გაიფიქრა გაოცებულმა. „სად  
არის ჩემი გულები? ეს ამდენი სახლი საი-  
დან განჩდა?“

იმ ოვეების განმავლობაში, როცა ყან-  
ჩა თბილ ქვეყანაში იყო, ველზე ქარხნის  
აშენება დაეწყოთ. უდაბური ადგილი



ახლა ხალხით სავსე იყო. ჭაობი აღარ-  
სად ჩანდა. ამოშროოთ იქაურობა და იქ,  
სადაც წინათ გუბე იდგა, ბალი გაეშენე-  
ბინათ და ნაირფერადი მცნარები ჰყვაოდ-  
ნენ.

— ეს მე არ მომწონის, — უქმაყოფი-  
ლოდ ჩაიძურტუუნა ყანჩამ და გადაწყვი-  
ტა თავისითვის. შესაფერი სხვა ადგილი  
მოყენდნა.

დიღხანს იფრინა, მაგრამ გუბე ვერც  
სხვაგან იპოვა. სადაც კი მივიღა, კველ-  
გან ტრაქტორის გუგუნი და ადამიანის  
ხმა ისმოდა.

— არა, ეს უკვე მეტისმეტია! — გა-  
ჯავრდა ყანჩა. — სულ გადაუხნავთ აქაუ-  
რობა, არც ერთი გუბე არ დაუტოვებიათ  
ჩემთვის!

შეშეოთებულმა ყანჩამ გადაწყვიტა  
მთის მიწინარისაკენ გაფრენილიყო და იქ  
ეძებნა საქმელი. წირსულში გალალებულ  
ცხოვრებას დაჩვეული, ახლა მცირედ  
ლუკმას ნატრობდა.

ამ გასაცირში გაატარა ყანჩამ ზაფხუ-  
ლი. ხანდახან გადაიფრენდა იმ ადგილ-  
ზე, სადაც წინათ საყვარელი გუბე იყო,  
მაგრამ თავისითვის სამედოოს ვერაფერს  
ხედავდა: ისევ აშენებდნენ ახალ სახლებს

და ხალხიც უფრო მეტი ჩანდა. ერთ  
დღეს კი ქარხანაში მანქანები ამუშავ-  
ლენ და მათი დერიალი შორს მთაშიაც  
მოესმა. მა ხმას როგორც იქნა შეწირა  
ყანჩა, მაგრამ ქარხნის ლუმელებიდან ბო-  
ლი რომ ამოღოდა, ამაზე ძალიან ჩიო-  
და, რადგან სრულიად ვერ იტანდა კვამ-  
ლის სუნს.

დადგა თუ არა შემოდგომა, ყანჩა  
თბილ ქვეყნაში გასაფრენად მოეშადა.

წისლის წინ თავის ძელ მეგობარ კა-  
კაბი შეხვდა. პირველად რომ დაინახა,  
უცაპად ვერც კი იცნო. კაკაბი ძალიან  
გასუქებულიყო, და წინათ ცხოვრებაზე  
შედამ მომჩინენი, ახლა მხიარულად ღუ-  
ლუწებდა.

— შეგობარო, სად ხარ, რომ ვერსად  
გნახე? — ხალხისიანად შეეხება კაკაბი.

— ეს, რათა სანახავი ვარ! — მძიმედ  
ამოიოხრა ყანჩამ, — რომ იცოდე, რა გა-  
საკირში ჩავარდი. დამიჯერე, ნახევარ-  
ჯერ მშიერი ვიღამება.

— როგორ თუ შშიერი? — გაოცდე კა-  
კაბი, — იმის შემდეგ რაც ველზე მუშო-  
ბა გაჩალდა, საკენკიც უამრავი განჩნა.  
როგორ შეიძლება აქაურობას წუნი და-  
ედვას? წამომყევ, გამშევ მარცვალს, თო-  
რემ ძალიან გამხდარხა.

კავაბმა მიიხედ-მოიხედა, იპოვა იქვე  
მარცვალი და შესთავაზა:

— ერთხელ მაინც გასინჯე, იქნებ  
მოგეწონს.

— აპ, არა, არა! — ფეხი გააქნია ყან-  
ჩამ. — შიმშილისაგან რომ ვკვდებოდე,  
მაინც არ შევჭამ!

— ეჭ, უგუნური ხარ და რა გიყო! —  
შეიცოდა კაბბამა. — შენ რომ ამის გეტმ  
იცოდე, ბაყაყს აღარ ინატრებდი. ხომ  
ხეთაც, გუნდეც არხადაა.

— မာရဲ အဲ ဖုနစ်လှပ ဟိုမိ စာမျက်လှပ၊ —  
တေဒါဒ နာဂိုလ်ရာ ပုန်နာမ်၊ — မြိုင်းတ မျှ စာရှု-  
ကွိုလ်ဝော မြုမိုက်နှင့်၊ ဒာဝိုင်း ပို့နာဇူရွေးပဲ  
ဒွေ့ပို့နေ့တွင်၊ အဲလှ ကြ ဒွေ့ပွဲဖွဲ့၊ ရှမ် ဟိုမံ့။  
မာရဲအော် မဲ သွေ့မြေး လူမာဝာဏ် အျော်ဖြစ်ပဲ...  
မိမိရှို့ မာကျုံ၊ လာ ဒို့နာ?

— წადი, გაბრუნვდი იმ უქომ თბილ  
კეყანაში, — უთხრა კაბაძა. — იქ ხომ ბევ-  
რი ქაობი და უდაბური აღგილია და  
ხალხს უფლებასაც არ აძლევენ, მნიშვნელოვან  
სასარგებლოდ დამზადონ. მიკირს,  
რატომ საფლეხშიაც იქ არ ჩებიდ?

— ზაფხულობით იქ არ დაიდგომება, ძალიან ცხელია, — აუხსნა ყანჩამ.

— მაშ, არ ვიცი, როთ გიშევლო, —  
ურთობი აიჩინა კაქაშმა. —იმის გამო, რომ  
შენ გუბე გჭირდება, ისევ ჟაობად არ  
აქცევენ ამ აღგილს. მალე აპირებ წასკ-  
ოს?

— სულ მაღლე, — ამოიკენესა კუნისმათ გაზაფხულამდე კვდარ გნახავ.  
— გაზაფხულზე მაინც აპირებ დაბრუ-  
ნებას?

— მაში სხვაგან სად წავიდე? — ამოი-  
ობრა ყანჩია. — ზამთარში აქციან სიციეს  
უნდა გავვეტე, ზაფხულში კი იქაურ სიც-  
ხეს. იქ ისე ცხელა, რომ სულ ვერ მო-  
ითქვამ!

ပုဂ္ဂနိုင် ကြဖွေ့ ဗျားလုံး၊ ရှာလာပါ ဤတွေ့၊  
မာဂ်ရာလ ကျော်မာ ဖျော်လ တွားလို မြန်မာရာ  
မြန်မီးဘိုးပါ ဒုက္ခနဲ့၊ ရှာမျော်လုံး မတေသနဖျော်  
နှစ်ရာစာလ မိဖွေ့ရှင်းလွှာလ၊ စာ၎ံးရှုံးလ လွှာမြှေး  
ဖျော်လုံး၊ တာ၎ံးမှုံးလ မွော်မာရာလူး၊ ဖြုံရတာ  
ဖုံးတဲ့ အော်မြှေးရှုံးလ လူ ဒာ၎ံးရှုံးရာ。

უკირდა ყანჩას, მაგრამ მაინტ ენანგბოლდა აქაურობის დატოვება. კიდევ რამდენიმე დღეს დარჩა, მერე კი აკეცა თავისი. გრძელი ფეხები, მალლა აფრინდა, ნალელიანად გადახედა შევეითლებულ გარემოს და შორეულ ქვეყნას მიაშრა.

კავაბი კი ლალად დაქროლა ხან შთა-  
ში, ხან ველზე და ხანდახან, როცა შორს  
მყოფ მეგობარს მოიგონებდა, ღიმილით  
დაიტექრიბდა:

არა, თქენი ჭირობე, აგრე უგუნდური როგორ უნდა იყო, რომ მარცვალს საძაგლო ბაჟყი ამჯობინო? ვენაცვალე ქვენს ქვეანას, აქ, ახლა ყველგან ყანა და ამზღვითონა!

ნურული ჩარავა

## რა კარგია ტელეფონი

ଶ୍ରୀଦେବପୂର୍ଣ୍ଣନାଥ ଦେବାଶ୍ସ  
ଦୁଆସୁରିକୁ ଘୁମିନ,  
ତାଙ୍କିଲେ ସାମିଶାଶ୍ଵରିମିଳି.

კვითხე, როგოს მოვა.  
კვითხე, ხომ ან შია.  
კუთხარი, რომ ბებომ  
ხენირო დარჩია.

ପୁଣ୍ଡିଆ ଅନ୍ତର୍ଜାଲ କ୍ଷେତ୍ରରେ,  
ପୁଣ୍ଡିଆପୁ ମେ ମାନ୍ଦ୍ରାମା.


ბევრი შევუნახეთ  
დედასა და მამას.

შემდეგ ღამირეცა  
მამამ ჩუსთავიდან,  
ისიც სამსახურში,  
ხომ ღირით ნავითა

ନୀଳମାର୍ଗ ପାଇଁ, ମୁକୁତବୀ,  
ମେହି ଅବ୍ଜ ମିଟିଶର୍ବା:  
ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡଳବୀ ଦୃଶ୍ୟ,  
ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡଳବୀ ଦୂରି,



არვინ გავატაერო,  
კიყო სანაქებო.  
რა კარგია, კარგი,  
ყველას სკომბს, მღონი  
ყველგან დაპარაკობს!  
წერი ტილოონი.



ნორა გამანაშვილი

ნახატი 3. ჯაფარიძისა

## 6 უ ს თ ა ვ ი

არც მთა მოჩანს, არც მაღლობის,  
სულ ვაკე და დაბლობია,  
ორთქლმავლები, მანქანები  
გარბიან და გამორბიან.

უჰ, რამდენი შენობები  
და რა კარგი სახლებია,  
ქარხანის თვალს ვერ აუწვდებ,  
ისე აუმაღლებიათ.

ეს ქალაქი მშვენიერი  
მზოლოდ შეიდი წლის ყოფილა,

ხედავ, ასე მოკლე დროში  
როგორ კოხტად შემკობილ!

მეც ამ ხნის ვარ, მაგრამ ისევ  
ჯერ პატარა ბავშვი მქვია,  
რუსთავი კი რა ლომაზი  
და რა დიდი ქალაქია.

როცა დიდი შევიქნები,  
იცით, მაშინ რა იქნება? —  
თბილისიერ დამშვენდება,  
თბილისიერ გაიზრდება.



ან ხავებიშვილი

## ს კოლის

## ტოროლა

ნახატი შ. ცხადაძისა

სოფომ, ჯერ კიდევ როცა ექვესი წლისა იყო, დაეინებით აიჩემა: მეც უსათუოდ სკოლაში უნდა მისაბაროოთ. როცა მისი დამშები სკოლაში პირველად წავიდნენ, სოფო ტირილით გვდევნა: გამიშვით, თუ თევენ არ მიმაბარებთ, მე თვითონ მივალო, —დედა უკან გამოიყიდა, და იქირა და ძლიერ დარწმუნა, რომ ჯერ ჰატარა ხარ და სკოლაში არ მიგიდებენ. თან დასძინა:

აი, შეიღო, ერთი წელიწადი და დაგრჩა, ესცე მაღლე გაიძენს და მაშინ შეც მიდაბარებო.

ვატათა გოგოს ეგონა, ერთი წელი-ორიოდე დღეში გავიდოდა და ყოველ დღე კითხულობდა:

რა ვქნა, ამ ერთ წელიწადს რა დაგემართა, აქმდე ვერ გაირჩინა? ბოლოს ბედს დაემორჩილა და იმით ქმა-ყოფილდებოდა, რომ მისი დამშების საზეპირო და წასაკითხავ მისალის იმათხე ადრე იხსიმებდა. მაგრამ წერა რომ არ იცოდა, ეს ძლიერ აწუხებდა.

ერთხელ ბეჭედი გაკეთილების დასამშაცებლად მაგიდას რომ შემოსხედნენ, სოფოც ბუხარს მიუჯდა, და თავისი უფროსი ძმის წაკითხულ გაკეთილს უსმენდა. ამ დროს კარებზე ვიღაცაშ დააკაუნა.

— რომელი ხარ? — იკითხეს ბავშვებმა და წამოცვედნენ კარის გასაღებად.

— მე ვარ, ლევანა, ოქვენი წერილი მოეკიტანე, სამგორიდან არის!

ბავშვები აერიამულდნენ.

წერილი მართლაც მართლაც იყო.

— ჰა, მამასი! — წამოიძახა სანდრომ და ხმამაღლა სიხარულით დაწყო კითხვა:

„ჩემი ძეირტასებო, — იწერებოდა მამა, — რომ იცოდეთ, რა კარგ გუნდებაზე ვარ; ამ გახრიობებული სამგორის მინდოოზე ქალაქს ვაშენებთ: სულ სამბინიანი სახლებია, ეზოებით, ბაობოსტნების ადგილით დაგეგმილი; ელექტრონიც გავიყანეთ, მოქლე ხანში ეს სახლები მობინადრების ელიან და აბა, მაშინ იქნება დიდი აბებები!

აბა, შეიღებო, ჩენ აქ გულმოდგინედ ვმუშაობთ და ვინძლო თქვენც კარგდე იწავლოთ, და ქვენის გაძოსალები იასხი გამოხევილეთ. წერილი მაღლ მომწერეთ და თქვენი ამბავი შემატყობინეთ“.

წერილის წაკითხვისთანავე, ბავშვებმა საწერ-კალამი და სუფთა ფურცლები მოიგარევეს და მამასთან პასუხის დაწერას შეუდგნენ. ამის დანახვაზე სოფოც ცრემლები მოერია:

— სულ თქვენი ბრალია, — სლუუნით უსაყველურა დედას, — სკოლაში რომ არ მიმაბარეთ, აბა, ახლა რა ვქნა, წერა არ ვიცი და მამას წერილი როგორ უნდა მივწერო!

მერად დილა გათენდა თუ არა, ყველაზე უწინ სოფო ადგა, პირი კარგად დაიბანა, მაგიდიდან ერთ-ერთი წიგნი აიღო, და ისე გაიძარა სკოლაში, თვალი არავის მოუკრავს. როცა ზარი დარეკეს, დერეფანში მოზღვაყველულ ბავშვებს სოფოც შეჰყადა და კალაში ისე დაჯდა, არავს შეუმნიველი. შევიდა თუ არა, ერთ-ერთ მერხზე კოხტად წამოსკუმდა, გვერდზე დამსხვარმ მოწაფებება ძლიერ გაითუს ახალი სტუმრის მიმბრძანება, მაგრამ შეკითხვა ვეღარ მოაწრეს: საკრასო ოთხის კარი გაიღო და მასწავლებელი რომ შემოვიდა, კველა გაჩრდა და ბავშვები უცბად ფეხს წამოდგნენ.

— სალაში, ბავშვები, — მიესალმა მათ მასწავლებელი.

— სალაში, მასწავლებელო, — ერთხმად უპასუხები ბავშვებმა.

— დასხედით და წიგნები გადაშალეთ.

ამ ჩენება სოფომაც თან წამოლებული წიგნი ფაციუსულით გადაშალა და უკელოზე უწინ თითო მან ასწია. მასწავლებელი ამ პატარა გოგოს დააცქრდა, რომელიც დიდ ბავშვებში სოლივით ჩაჲედლიყო, თითო მაღლა აეწია და ისეთი გაბრწყინებული თვალებით შესცემროდა მასწავლებელს, რომ მისი ყურადღება უნებურად მიიპყრო.

— აბა, პატია, შენ წაიკითხე, ვნახოთ, შენ როგორ კითხულობ, — მიმართა თუ არა მას სოფოს, ამ გოგო მოწაფები მისწიონსხისა, ფეხს ადგა; ბავშვებმა უცხოდ მოსულ გოგოს გაყიდვებით შეხედეს, მაგრამ ურინტი მანიც არ დაუძრავთ, სოფომ კი წიგნს ხელი წაალიო და ისეთი მკეთრი ხმით, ისეთი გარევევით დაიწყო კითხვა, რომ მთელი კლასის უურადღება მიიპყრო; კითხულობს, სხაპა-

სხუპით კითხულობს, თითქოს მდერისო, თან სტრიქონებს თითო აყოლებს, ვითომ არ შემეშალოს. მასწავლებელი ქალი ღიმილოთ იმ მერხს მიუახლოვდა, სადაც სოფო იჯდა. მის გვერდით ბავშვებს სიცილი წასკდათ, სოფოს აინუნშიაც არ ჩაუგდია მათი სიცილი და მანიც თავაგა-მოლებით კითხულობდა, მაგრამ თითმა სტრიქონები უფრო ადრე გაათავა, ვიდრე ის წაკითხვას დაამთავებდა. სოფო მანიც არ დაბნეულა. თითები მეორე მოთხრობის სტრიქონებზე ჩამოიტანა და ისევ მყირიცხლად განაგრძო კითხვა.

ბავშვები უკვე ხარხარს ვეღარ იკავებდნენ. მასწავლებელიც მიუახლოვდა; დახედ წიგნს, იმასაც გაეცნა და ჰერთა:

— ეს წიგნი უუშამა რომ გიღებეს, პატარავ, როგორ კითხულობდა?!?

სოფო შეკრთა, მაგრამ მანიც თამამად უპასუხა:

— ხეპირად ვიცი, მასწავლებელო, ჩემი ძმა რომ წავლობდა, მე იმაზე ადრე ვისწავლე და დღეს იმიტომ მოვედი, რომ... — სოფო თავი ვეღარ შეიკავა და ტირილი ამოუშე.

— შენ აქ ვინ მოგიყვანა?! — გაუკირდა მასწავლებელს.

— მე ტარი ხარო, სკოლაში რომ არ მიღებდით, მაშ რა ვქნა, როგორ უნდა ვისწავლო, მამას წერილი როგორ მივწერო! — ტირილით წარმოსთვეა გოგონამ და თვალებზე ხელები მიიფარა. მასწავლებელებს სოფო შეეულა, წინა მერხს გადმისვა და დაყვაეცით უთხრა:

— აბა, რა გუყო, გოგონა, მართლაც პატარა ხარ და შენი მიღება ჯერ ადრეა.

სოფო სახლში გამოისტუმრეს, და წელს რომ პირველ კლასში მიიღეს, ისე უხარია, რომ სიხარულით ფეხს აღარ დგას.

ბავშვები ამ გოგონას სკოლის ტოროლებს გაბარან, რადგან სკოლაში ყველაზე ადრე ის მიღეს თურმებ, და იქ რომ ლექსებს იმეორებს, კლასიდან სოფოს ხმა ტოროლას წერიალივით ისმის.

## ერთ ღორძი

# შეამიანი თევზები

შებალურები თევზებით საცე ბადეს ზღვიდან ეზიდებოდნენ. ზოგი ნაპირზე იდგა, ზოგიც მეტადმდე წყალში იყო.

ეს რომ დაინახა ლევანმა, თბაქოჩირა თერთმეტი წლის ბიქმა, შებალურებისაკენ გაჰკვარცხლა.

შებალურებმა ბადე ნაპირზე აათრიეს. დიდ თევზებს კალათებში ყრიდნენ, პატარებს კი — ზღვაში. ერთი, ბრტყელი და მრგვალი, გრძელბოლობინი თევზი შებალურმა ჯოხით — ამთაგდო ბადიცან. ლევანი ცნობისმოყვარეობით დააცემდა უწანურ თევზს. მას დაქბილული, მახათისებური ძელის ორი ბოლო შეკნდა. ერთი გრძელი იყო, მეორე კი — მოკლე. ლევანი იმ თევზთან რომ დაიხარა, შებალურმა გააფრთხილა:

— ხელი არ ახლო ზღვის კატას, ბოლოს მოიქნევს და ჩაგასობს, შეამიანია. — ლევანი შეშინდა და უკან დიხისა.

შებალურმა ზღვის კატას გრძელი ჯოხის წევრი დააჭირა. კატამ ბოლო ასწია და ჯოხს რამდენიმეჯერ შემოქმერა შეამიანი ძვალი. ბოლო ჯოხს აკდინა, თვისი სხეულს ღრმად ჩასონ და ვეღლო გამოიიღო.

ლევანი დასასენებელ სახლში რომ მივიდა, მამას უთხრა: — ზღვის კატა ვნახე, შეამიანი ყოფილა!

— ზღვაში ბანაობისას სიფრთხილე გვმართებს, თურმე, — თქვა ლევანის მამა.

როცა ლევანი ნაპირთან ბანაობდა, წყალს ხშირად ათვალიერებდა, — ახლოს ზღვის კატა არ იყოსო.

ერთხელ ლევანის მამა ზღვიდან შეწუხებული ამოვიდა, უების გულს დახვდა.

— ალბათ შეშის ნატეს დავადგი ფეხი, მაგრამ ასე საშინლად რატომ მტკიცა! — თქვა მან და სილაზე დაჯდა. იგი კვნესოდა. მერე ტანი ჩაუცა და ლევანს უთხრა:

— ნუკან დაუყოვნებო, ჩაუცა, ექმითან წავიდეთ.

ჭავალანა ექმიშა ფეხი გაუზინჯა ლევანის მამას და უთხრა:

— შევ ზღვაში ცხოვრობს პატაწინა ლამაზი თევზი — ზღვის მორიელი; იგი ხშირად ჩატომ და ურგების ფარველი მოუჩანს. უთუოდ მის ფარველს და დგით უები, ან ლაუკებს შეეხეთ. ზღვის მორიელი შეამიანი თევზია და უენიც ამიტომ გრძელვათ. თუ დღოზე არ უმცურნალეთ, გამიზეზება იყის. ახლა წამალს გამოგენერო, ჩეარ განიკურნებოთ, — დააშენება ექმიშმ ლევანის მამა და დაბაძინა: — მე ბავშვობიდნ გაბაზონ ზღვაში. ერთხელ ზღვაში რაღაც წავი შეხლო. თურმე ზღვის კატა ყოფილა. მან მოქმედია ბოლო და მუხრან ზემოთ საშინლი კრიკლობა დამიტოვა. კრიკლობა ძლიერ გამიმიზებდა, მაგრამ შებალურებმა მიხსნება. შებალურები ზღვის კატის მიერ შეიყვნებულ ჭრილობას ზღვის კატისა ექინოთ მეტრიალობენ. შებალურებს ყოველთვის აქვთ ზღვის კატის ჭონი. ზღვაში საბანაოდ როცა შედინარ, თან იქნიეთ ჯოხი ზღვის კატების დასაფრთხობად. ხოლო რაც შეეხება მორიელს, მსუბუქი ფეხსასტელი ჩაიცვით და მაშინ შორიელისაშიში აღარ აისი.

## ଶୁଣେନ୍ତି ପାଠୀଙ୍କ

ନାଥପୁରୀର ପତ୍ର. ଉତ୍ତରପ୍ରଦେଶ

## გოლიათების ქვეყანაში

ବାଦକ୍ଷିଣୀ ଅନ୍ତର୍ମାଳା ମଧ୍ୟରେ ପାଇଁ ଏହାର ଉନ୍ନତିଗୁଡ଼ିକ ଆଶା କରିବାକୁ ପାଇଁ ଯାଇଲେ ଏହାର ଉନ୍ନତିଗୁଡ଼ିକ ଆଶା କରିବାକୁ ପାଇଁ ଯାଇଲେ

အော်လုပ်မှု ပြန်လည်ပေးသွေ့ခြင်း၊ ပြန်လည်ပေးသွေ့ခြင်း၊

პოლიტის მოკლე შინაარჩი ახეთა: ობრი იანჩი სამწყვერუშო გაეკარგავს ქუერის უარის დღი ნანიცაზ, რის გამოც მას სახელიდან გააგდებს გუდვე კანალუვაღი. შემცერებულ მოსხისგარეთ ანიცაზ სხვადასხვა საგდირი ამტკი; ბოლოს საცი მიზოს გლობულოფერი კუვანაზი და ამიტუბებს მათ მეტეს. გორგანი იანჩის უშაბუღერ ერთგულებას. მათი დაბრივებით იანჩი მოხვევა უკრების კუნძულებს აქ ღირი ბრძოლების შემცირებას.

ვპეტრი ნ.წყვეტს პოემიდან.

ବ୍ୟୁଷ କିର୍ତ୍ତନ ମିଳାଯାଏ ବାନିଶେ  
ତାହେ ଦାଖିଗପଦ୍ଧା ଯନ୍ତରାନି,  
ଶ୍ଵେତକର୍ତ୍ତା, ଲାଭଶି ହାଜିଲୁଣ୍ଡା  
ନାହା ପ୍ରଥମ ଦ୍ଵାରାନାନି.  
ମେଘାତନ୍ତନ ଉପାକାରନି,  
ପ୍ରାଣାଶୀ ଅର୍ଦ୍ଧା ଲୋକାଦିତର୍ଯ୍ୟ,  
ପ୍ରାଵାନମଦର୍ଥନ ପ୍ରଥମିତ୍ର, ପାତ୍ରରାନିତ୍ର,  
ଦ୍ୱାରାନି କି ମାନିତ୍ର ସ୍ଵର ଦର୍ଶନର୍ଥ,  
ମିଶ୍ରାତ୍ମନ୍ତ୍ରର୍ଯ୍ୟରେ ବାନି,  
ମେଘାତନ୍ତନ୍ତ୍ରରେ ଶୁଦ୍ଧତର୍ଯ୍ୟ ବାନାମି,  
ମେଘାତନ୍ତନ୍ତ୍ର ବାନ୍ଧେ ପଦରୂପା,  
ମରିଲିବାନ୍ତ୍ର, ଅନ୍ତର୍ଗତ ନାମାମି.  
ମତ୍ରାତନ୍ତରାଶ କ୍ଷମିତ୍ର ଶ୍ଵାଶିନ୍ଦ୍ରପଦ,  
ତ୍ୱରାନ୍ତର୍ଯ୍ୟରେ କ୍ଷମିତ୍ରରେ ମିଶ୍ରତା,  
ଗାଢ଼ାଶ୍ଚେଦ୍ୟମାତ୍ର ମିଶ୍ରଗ:  
„ବାନାମିଲିବାତନ୍ତ୍ରରେ ବିନ୍ଦୁ ପ୍ରେଣା?!!“  
„ସୁଶ୍ରୁତରେ ବାର, କାଶୁକ୍ର ରାମି  
ପ୍ରେର ଅନ୍ତର୍ଗତ ଏକମ-ଦ୍ୱାରାନିଲିଲା?+  
„ରା ଗୁରୁନ୍ଦାଶ୍ଚ ପ୍ରିୟେତି  
ଏମ କିମି ପ୍ରେଣି ପାତ୍ରରାନି!  
ଦେଲିଲିଲାନ ପ୍ରାଣର୍ତ୍ତୁମାତ୍ର, ବିନ୍ଦୁ ପ୍ରମିଲା  
କିମି ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ଦା ପାଦା,  
ପ୍ରେର ମୋହିଲୀର ଏମ ପ୍ରାଣାଶୀ,  
ତିନିତମ୍ବ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଜୀବିତ ଫଳବାତ.“

— „გულს ნუ გაიტე, ოსტატო,  
მაგ საქმეს ერთად უშველით,  
ისე გაქციო ფორანი,  
ერთიც არ გატყდეს ჭურჭელი!  
ოლონდ ეს შარა ად მიღის?“ —  
მაღლა ასწინა მარჯვენა,  
ტყუს რომ მხარმაჭვნივ უვლიდა,  
ხელით ის შარა აჩინა.

„მაგ გზას ნუ მკითხავ, — მექოთნემ  
ხელი გაუშვა აუშარას. —

თავის დაღუპვა თუ არ გხურს, .  
ნუ დაავაიძი მაა შეარას.

მაგ შეარეს ბუმბერაზები  
ახორობენ და ას მჩარანი

კულტურული კაცების უნივერსიტეტი,  
წასული ბევრი გვინახავს,  
თამრობის დოკოდ — აშ-იანებს".

„ეგ ჩემზე იყოს, მსურს ვნახო  
ის დაწეს აკათხაუნა.

ამ ტალახიდან ჯერ, ოღონდ  
მოუმართოვ უასეწენა.

ერთ წამში იყო ამის თქმა

და ძხოვთ ზედადგრის მიწოლა,  
ღრმა ტალახიდან ფორანი  
ბურთილით ამოისროლა.

გაშორდა... ლიდხანს იარა,  
ხან ის გადახდა, ხან ესა,  
ბოლოს მაადგა იანჩი  
გოლიათების მხარესაც.  
საზღვროთნ წყალი დიოდა,  
აქ ლელე ერქვა სახელად,  
სხვა ქვეყანაში მდიდარეც  
არ იქნებოდა ამხელა.  
წყლის პირს ილგ მესაზღვრე  
გოლიათების ქვეყნისა,  
მიხედ იანჩი, იმ ნაზრას  
მხარეში მისკლა ლიირსა.  
ბუზად არ ჩანდა მის გვერდით,  
რა ტანი ჰქონდა გოლიათს,  
უყურებს მის ტანს იანჩი  
და ციხე-კოშკი ჰერინია.  
გოლიათების შესაზღვრებ  
უცხო კაცს დაძლა დახედა,  
წარბება რისხეთ აზრა,  
ერთო დაცყვირა თავქედად:  
„კაცთაგნი ნამდევილად  
ფეხთან, რომ გაიტაცუნა,  
ტერფები მექავებოდა,  
ამიხდა, გაესრეს კაცუნას“

„ილბლად იმგვარად წაიქტა, გირგვინითაც  
რომ ხიდად გამომალგება,  
მაგის ვეება სხეულზე  
გავირბენ, სანამ ადგება“.  
ეს გიტიქრა და მყისეე  
სირბილით ზედ გაიარა,  
თითქო დიდ ხილზე გარბოდა,  
დევკაცის ზურგზე კი არა.  
ისე გავიდა წყალგაღმა,  
არ შერხეულა ერთხელაც  
წყალში გართხული დევკაცის  
სხეული ვეებერთოლა.  
და იანოშმა ბუმბერაზს  
უცხო სხვა კურა უყო რა,  
ხმალივე დაჭირა ლონივრად.  
ზედ კისრის ძარღულან უსწორა.  
სისხლი გაღმოსცდა ბუმბერაზს  
უზომინ გასაკეირველი,  
სისხლის ლვარისან მდინარე  
შედედდა, გახდა წითელი.  
რა დაეძროთ ჩემის რინდს,  
რა მოუვიდა იანოშმა?  
ახლავ გიაშბობთ, ვასრაფი  
ლექშმა არ დაიგერანოს.



ნათქვამის ასასრულებლად  
დევკაცმა ფეხი ასწია,  
დიდ ფეხს იანჩის პირბასრი  
ხმალი დაუხედა პაწია.  
და გოლიათმა მცირე ხმალს  
ჭეხი დაადგა თუ არა,  
დაცუა, თავზე ქუხილით  
იანოშმა გადაუარა.

\* \* \*

შედიოდა ლრმად თანდათან  
იანოშმი უღრან ტყეში,  
რაც იქ ნახა, მსგავსი რამე  
არ ენახა თავის დღეში.  
გაოცებით შეპურებდა  
საზღვრის ღელეს გამომცდარი,  
ირგვლივ იყო ცველაფერი  
ზღაპრული და საოცარი:

უცნაურმა კოლოს ჯარშა  
 იქით-აქეთ გაიქროლა,  
 რქები პქონდა დაგრეხილი,  
 თითო იყო ხარის ტოლა.  
 დაქსვენებ ინოშის და  
 გაუჩინეს საქმე მის ხმალს,  
 გმირმა იწყო მათი ელეტა,  
 ქვებზე მათი ტუნის მისხმა.  
 ხის ხმელ ტოტზე ჩამომჯდარი,  
 შეი, როგორც ხანძრის ბოლო,  
 შორს ყვანჩალაც დიდი ჩანდა,  
 უშეველებელ ღრუბლის ტოლი.  
 ირგვლივ შეის შეუს აბნელებდა  
 კაშუ-გოლოების ქარავანი,  
 თურმე იყო გოლიათთა  
 მეფის ციხე-გალივენი.  
 და თუ კაშკი დიდი იყო,  
 გასაკირი აქ რა არის,  
 მცირე როგორ იქნებოდა  
 ბუმბერაზთა მეფის კარი.  
 დგას და ფიქრობს ინოში:  
 „გარეგნულად ლამზია,  
 მაგრამ აბა, ერთი ვნახო,  
 შეი რა ციხე დარბაზია!“  
 არხეინად წინ წავიდა,  
 არ აფრთხობდა შეშის ზარი,  
 ფეხი ჰერა და ფართოდ გახსნა  
 უმძიმესი ციხის კარი.


რაკი ის კარი შეაღო,  
 დარბაზში მოხედა ადვილად,  
 ნახა ბუმბერაზთ ხელმწიფე  
 შეილებთან იჯდა საღილად.  
 მაგრამ არ იტყოთ, რას კამდნენ?  
 რა იყო მათი საღილი? —  
 წინ ეწყოთ დიდი კლდეები,  
 სალი კლდეები ნაძვილი.  
 რომ დანახა იანჩიტ  
 მეფი კლდეების მეტჩავი,  
 არ მოეწონა, უკანვე  
 წასელას ფიქრობდა ბერავი.  
 მაგრამ შეხედა უცხო კაცს  
 ხელმწიფემ მჯდარმა სეინად,  
 სუფრაზე მიიპატიე.

ამ სიტყვით, თავაზიანად: „  
 „პატივისცემა სტუმრისა  
 არის მასპნძლის ბევარა,  
 რაკი მოსულხარ, აქ დაჯევ,  
 სალი კლდე ყლაბე ჩენგვარად.  
 მაგრამ თუ სუფრას გვიწუნებ,  
 თუ თახედი ხარ ესოდენ,  
 უნდა ერთ ლუმად ჩაგულაპოთ  
 შენ თვითონ, როგორც შემცოდე.“  
 ინოში მიხვდა, ხელმწიფის  
 სიტყვა არ გავდა ხუმრობას,  
 დათანხმდა, თუმცა არ სურდა  
 გოლიათების სტუმრობა.  
 და უთხრა: „რადგან არა მაქეს  
 პირი დიდ კლდეთა ჩამტევი,  
 ნატეხ-ნატეხად მომეცით  
 ლუმად კლდის ჩამნამტევევი“.  
 მეფემ მაგარ კლდეს მოსტება  
 ნატეხი უზარმაზარი.  
 უთხრა: „ეს ჩვენი პურია,  
 გასინჯე, ნახე, რაც არის!“  
 შერე შეორე ნატეხი  
 მისცა და უთხრა: „მწვადია,  
 პურთან მიირთვი, სტუმარო,  
 თუ პირის გემო გწადია“.  
 „ბელტიკლაპია არა ვარ,  
 კლდეების ყლაპეით გაეწვალდე;  
 გიჯობს შენ თვითონ ჩაყლაპო  
 ეგ ჩვილი ბატქის სამწვადე!“  
 რისხვით შესძახა სტუმარმა,  
 კერმა გაიღო ზანზარი,  
 შეი თავში ხეთქა ბუმბერაზს  
 სალი კლდე უზარმაზარი.  
 დაცინით უთხრა: „დაგადგა  
 ყელზე ეგ შენი პურ-ღვინო,  
 ვეღარ გაბედავ, წავულო,  
 სტუმრებს რომ კულავაც ულრინო“.

ბუმბერაზთა მეფე მოკვდა,  
 ღონით, სიმნით ლომის დარი,  
 გოლიათთა ციხე-ქლაქს  
 თავს დაატყდა გლოვის ზარი.



21/54      3-13-1955



მოთქმით, გულში მჯიდის ცემით,  
გროვდებოდნენ და-დასებად,  
თითოს ტრემლი იქმარებდა  
თითო ჭვევისას ასაქცხად.  
როცა მათში უხუცესა  
დაასრულა ოხეა, მოზემა,  
გმირ იანოშს შეკვედრა:  
- შეიწყლო ჩენი მოღვამა;  
ოლონდ კველას ნუ შეკვემდებავ,  
თუ გსურს ჩენი მეფე გაჩდი,

თვითონ იყარ გვირევინი და  
გოლიათთა მეფის ტახტი“.  
ყველამ ერთხმად დაიძახა:  
„ასეთია ჩვენი წესი,  
ჩვენს სათქმელს და გულის ნადებს-  
ამბობს ჩვენი უზუცისი.  
ოღონდ ყველას ნუ დაგვეხმავ, —  
ყველა ერთხმად ეუბნება,  
გმირო, ჩვენი მეფე გახდი,  
გვიმსახურე ერთგულ ყმებად“!

ପ୍ରକାଶ ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧୀଙ୍କ ପ୍ରକାଶନରେ ୧୯୫୩ ମସି

ନେତ୍ରକୁଳାଶ୍ରାମକ ରୀପ୍ରାକ୍ଷି ମାନ୍ଦ୍ରାଜାନ୍ଦ୍ର. ବାର୍ତ୍ତାକୁଳାଶ୍ରାମକ ଗ୍ରାମକୁଳାଃ କୁଣ୍ଡ ପାତ୍ରକୁଳା, ପ୍ରୀତି କୁର୍ମାଶ୍ରାମକୁଳା, ଏ. କର୍ଣ୍ଣକୁଳାଶ୍ରାମକୁଳା, ଅନ୍ଧାରାଶ୍ରାମକୁଳା, ମିଶନକୁଳାଶ୍ରାମକୁଳା, ବ. କିନ୍ଦାରାଶ୍ରାମକୁଳା, ବିନ୍ଦିରାଶ୍ରାମକୁଳା, ପିଲାଶ୍ରାମକୁଳା.

**Д И Л А**—искусственный детский журнал НСК ЛКСМ ГРУЗИИ № 2, Февраль 1952 г. Тбилиси, Ленина 14. Дополнен издат Грузинской Академии Наук. Редактором Г. Каладзе. Адрес: Тбилиси, 14, в Закат. Адн. № 2-37-38. Год подписки: 1952. № 10. Цена подписки: 75. 75 29.204. Цена подписки 15.000 за №№ 1-12.